შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (10.042)

1—8 ოქტომბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუ სიკვდილი გვიწერია, არც ესაა დიდი ტრაგედია“

სოხუმის დაცემიდან 29 წელი გავიდა. აფხაზეთიდან დევნილებს დღემდე ტკივილიანი მოგონებები ახრჩობთ. აფხაზეთს ისინი ფოტოებში , ვიდეოკადრებში ანდა სიზმრებშიღა თუ ხედავენ. 29 წელია, თითოეული მათგანი ელოდება დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ...

„ჩოდესაც ქალაქზე მომენატრები, ფიქრებში გესაუბრები ხოლმე, ჯა განა გაიგებს ვინმე ამქვეყნად, თუ ვინ ხარ რემოვის? ამის ახსნა ხომ სიტყვებით შეუძლებელია!

ახაფეხი მაქვს ჯასამალავი, ახც მოსახიდებელი, ჯეე, ვიყო სენტიმენტალურიც- მე შენ მიყვარხარ!

ეზეჯაეჯი, ჩოგოჩ გამსხვეეჯა ომი, ჩოგოჩ ნაწილ-ნაწილ გაკეჯინებჯა, გიძარცვაეჯა, გწვაეჯა, გაწამებჯა, მაგჩამ ვეჩარფიანი მოვიმოქმედე მის შესაჩეებლაჯ. ვეჯარ გიშველე, სოხუმო! მაკალტი, უსუსურობა!

შემინდე!

განა ჩოდისმე წარმოვიდგენდი ომს შენს ჯიაჯ ჯალასწაულში? სისხლს შენს ქუჩებში?ცხედრებს- შენს ზღვაში? გაჯაბუგული შენოზებს, გაჯამწვარ ხეებს, ყვავილებს? ცეცხლწაკიდებული ცას? ვეჩარსოდეს, ვეჩარსოდეს, ვეჩარსოდეს!

ხანდახან ისე მომენატრები, ჩომ აქ მეკაკუჩება კიდევ შენი წვიმის წვეთები, ეზეჯავ შენს მოვარეს, ვეფეჩები შენს მზეს, შენს ბალახს, შენს ვარსკვლავებს, შენს ფრთამოტეხილ, ოზოდ ოოდიებს...

მაგრამ შენ უნდა ვიცოდეთ მნათობებზე ფრრსა ხარ ფაკვე.

მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქი ბევრჯ ახლოსაა შენთან შეჯარებით.

მე მხოლოდ შენთან ცხოვრებისას ვამბობჯ სიტყვას-„მოვეჯი“, ეს წლებია, წასული ვარ ჯა „ვარ მოვეჯი“, სუფ „ხლვაგანა“ ვარ. მე მხოლოდ შენთან ცხოვრებისას ვამბობჯ სიტყვას-აქ, მე მხოლოდ „აქ“ ვიყავი შეყვარებული, სხვაგან ხომ არსაჯ.

ჩემოვის ყველაზე ჯიჯი მუსიკა შენს ბგერებშია განფენილი, შენს სახეებში-სოხუმი.

თუკი ოდესმე მშობლიური სახლის კარი შეგვაკვე, იმ წელს, თვეს ჯა ჯლს ჩემს აასაოსტში ჯაბაჯების თარიღს მივუწერ.“-ეს გურამ ოდიშარიაა, ქართველი მწერალი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ომის მთელი საშინელება და სხვა ლტოლვილებთან ერთად გაიარა ჭუბერის უღელტეხილი.

სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სამშვიდობოს სვანეთის უღელტეხილის გავლით გადმოვიდა. გზაში ასობით ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ბავშვები. დღევანდელი გადასახედიდან, ამ მოვლენების მონაწილეები ამბობენ, რომ შეიძლებოდა მაშინ სამხედრო ხელმძღვანელობას მოსახლეობა სხვა გზით გამოეშვა და ადამიანების სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

მწერალი გურამ ოდიშარია, რომელმაც 1993 წელს საკენ-ჭუბერის უღელტეხილი გამოიარა, ამბობს, რომ მთებში, დაახლოებით, 100-120 ათასი ადამიანი მოდიოდა, აქედან ასამდე გზაში გარდაიცვალა.

სოხუმიდან და გულრიფშიდან მანქანებით დაძრული დევნილები მაჭარის ხიდამდე მივიდნენ. ამის შემდეგ გზა ორად იყოფოდა: პირდაპირ - სამეგრელოსკენ და მარცხნივ - სვანეთისკენ. ხალხმა მარცხნივ წასვლა ამჯობინა. გაიარეს მერხეული, წებელდა, ლათა, აჟარა და საკენს მიადგნენ. აქ მანქანები დატოვეს და მთებს ფეხით შეუდგნენ. გურამ ოდიშარია ამბობს, რომ ბევრმა საკუთარი მანქანა

ხრამშიც გადაჩეხა.

დაიწყო საკენ-ჭუბერის უღელტეხილი, ალპური ზონა, სადაც ყველაზე მეტი ადამიანი დაიღუპა. საბოლოოდ, დევნილები ჭუბერში ჩავიდნენ, იქიდან კი ტრანსპორტით - ზუგდიდში. ჭუბერიდან სხვა გზას დაადგა ჯარი, რომელიც სოხუმიდან ხალხთან ერთად მოდიოდა, მათ მესტიისკენ აუხვიეს, ლენტეხში გადავიდნენ, იქიდან კი ქუთაისში ჩავიდნენ.

27 სექტემბერი საქართველოში გლოვის, ხსოვნისა და იმედის დღეა.

აფხაზეთის ომი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა. შეიარაღებულ დაპირისპირებას ემსხვერპლა 30 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე, 300 ათასზე მეტი კი დევნილად იქცა.

აფხაზეთის რეგიონში საქართველოს სამთავრობო ძალების შესვლას წინ უძღოდა ადგილობრივი სეპარატისტების მიერ ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადება. აფხაზური ფორმირებების მხარდასაჭერად საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო რუსეთის სამხედრო ძალები.

სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას განკარგულებით შექმნილმა „აფხაზურმა გვარდიამ“, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან ცეცხლი გაუხსნა.

სახელმწიფო საბჭომ სოჭი-ინგირის რკინიგზის მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შეყვანა 11 აგვისტოს, ვლადისლავ არძინბასთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა. შეთანხმების მიუხედავად, „აფხაზურმა გვარდიამ“ საქართველოს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისას წინააღმდეგობა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში და ქალაქ სოხუმში გაუწია, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა. 1993 ნლის 16 სექტემბერს, აფხაზურმა მხარემ დაარღვია 27 ივლისის სოჭის შეთანხმება „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“ და დაიწყო შტურმი სოხუმის ასაღებად. სოხუმისთვის ბრძოლა 11 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. აფხაზურ-რუსულმა, ჩრდილოეთ კავკასიელთა და კაზაკთა შენაერთებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაზე შტურმი 27 სექტემბერს დილიდანვე დაიწყეს და ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, ქალაქ სოხუმის მერი გურამ გაბესკირია და მინისტრთა საბჭოს 27 თანამშრომელი. შემდეგ ყველა მათგანი დახვრიტეს.

1993 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს სამთავრობო ძალების სამხედროებმა, შტაბის სარდლობამ და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ედუარდ შევარდნაძემ სოხუმი დატოვეს. სოხუმის დაცემამდე შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რამდენჯერმე მიაღწიეს სამშვიდობო შეთანხმებას, თუმცა რუსეთმა და მის მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა შეთანხმებები დაარღვიეს.

რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება „საქართველოზე გამარჯვებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღეს“ ყოველი წლის 30 სექტემბერს აღნიშნავს.

დაუზუსტებელი მონაცემებით, აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისას, ქართული მხრიდან 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი უსახლკაროდ დარჩა. აფხაზური მხარის მონაცემებით კი, დაიღუპა 3 500 და დაიჭრა 2 ათასამდე აფხაზი.

სოხუმის დაცემიდან 15 წლის შემდეგ, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთი „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ აღიარა.

* * *

ეზეჯი მაინც ახ ტოვებს აუხაზეთიჯან ჯევნიჯებს, სახჯში ჯაბიუნების ეზეჯი-ჩოცა სოხუმში ჯაბიუნების ოცნებისმიეჩ სუჩათებს შეენაცვლება ყოველვვეაჩი სიმწარჩისა ჯა ჯანჯისაგან გაანწმენჯილი ჩეაჯოზა ჯა სიხაჩუჯის ეჯჯისაგან გამშრალ ბაგეს ნანატრი ჯა გულში ამოსაჯეჩ ნათქვამი სიტყვები მოსწყჯება: „გამარჯობა, აუხაზეთო შენი!“

ინგა შიოლაშვილი

რა ხდება რუსეთ-საქართველოს საზღვართან?

21 სექტემბრის შემდეგ, რაც პუტინმა რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, რუსეთის მოქალაქეები ცდილობენ ყველა გზა გამოიყენონ ქვეყნის დასატოვებლად. საგრძნობლად გაიზარდა ავიაბილეთების ფასები, იაფი ალტერნატივა, სახმელეთო საზღვრით ქვეყნის დატოვება კი, რუსეთის მეზობლებისთვის ახალ თავსატეხად და გამოწვევად იქცა. მათ შორისაა საქართველოც.

საქართველოსკენ გრძელი და დამღლელი გზებით მომავალი რუსი მიგრანტების სავალალო მდგომარეობის გამო საქართველოში ბევრი ჰუმანიტარული კატასტროფის ნიშნებზეც ლაპარაკობს. სოციალურ ქსელებში ბევრი იწერება „ომზე უარის მთქმელთა დახმარების აუცილებლობაზე" და იმაზე, რომ მათი შემოშვებით საქართველო ხელს შეუწყობს უკრაინაში გასაგზავნი „მობილიზებულების" რიცხვის შემცირებას.

არიან ისეთებიც, ვისაც საეჭვოდ ეჩვენება ის ფაქტი, რომ რუსეთს ამ დრომდე არ ჩაუკეტავს საზღვარი მობილიზაციას გამოქცეული მოქალაქეებისთვის. თითქოს შეგნებულად უწყობს ხელს მათ მიერ ქვეყნის დატოვებას. ამის გამო გაჩნდა საზღვრის ჩაკეტვის მოთხოვნა, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამას არ აპირებს.

„ყველა საჭირო ღონისძიება ხორციელდება, მაქსიმალურად ვაკონტროლებთ იქ არსებულ სიტუაციას, დამატებით ძალებია გადაგზავნილი ლარსის პუნქტზე", - უთხრა 28 სექტემბერს ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ. ***„რა თქმა უნდა, გამოწვევები არსებობს, მაგრამ არსებული რესურსებით ვუმკლავდებით, თითოეული პირის შესწავლა ხდება და სადაც საფრთხეები არსებობს, იმ ადამიანების მიმართ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება ხდება",*** - თქვა დარახველიძემ.

შსს გამოაქვეყნა საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლის სტატისტიკაც.

რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ზემო ლარსის" გავლით საქართველოში შემომსვლელთა რიცხვი გაზრდილია. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებშიც ჩანს, რომ მობილიზაციის გამოცხადებამდე საქართველოს რუსეთის უფრო მეტი მოქალაქე ტოვებდა, ვიდრე შემოდიოდა.

მობილიზაციის გამოცხადებამდე:

- 17 სექტემბერს შემოვიდა - 6986, გავიდა - 7406;
- 18 სექტემბერს შემოვიდა - 6606, გავიდა - 6743;
- 19 სექტემბერს შემოვიდა - 6411, გავიდა - 6782;
- 20 სექტემბერს შემოვიდა - 5603, გავიდა - 6199.

მობილიზაციის გამოცხადებამდე, 17-20 სექტემბრის პერიოდში, სულ შემოვიდა 25 606 რუსეთის მოქალაქე და გავიდა - 27 130.

მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ:

- 21 სექტემბერს შემოვიდა - 6402, გავიდა - 6011;
- 22 სექტემბერს შემოვიდა - 6150, გავიდა - 6050;
- 23 სექტემბერს შემოვიდა - 9307, გავიდა - 6214;
- 24 სექტემბერს შემოვიდა - 9330, გავიდა - 6249;
- 25 სექტემბერს შემოვიდა - 11 143, გავიდა - 5519;
- 26 სექტემბერს შემოვიდა - 10 804, გავიდა - 4947.

მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, 21-26 სექტემბრის პერიოდში, სულ შემოვიდა 53 136 რუსეთის მოქალაქე და გავიდა - 34 990.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს, რომ ამ სტატისტიკურ მონაცემებში არ არის ასახული იმ ადამიანების მონაცემები, რომელთაც ორმაგი (საქართველო-რუსეთის) მოქალაქეობა აქვთ.

26 სექტემბერს ჩრდილოეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა ირბეკ ტომაევმა განაცხადა, რომ რუსეთის საბაჟო-გამშვები პუნქტი „ზემო ლარსი" ერთი კვირის განმავლობაში, ორივე მიმართულებით, 37 ათასმა სატრანსპორტო საშუალებამ და 115 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვახტანგ გომელაურმა** თქვა, რომ რუსეთში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, „ზემო ლარსიდან" შემომსვლელთა რაოდენობა გაზრდილია.

„თითქმის პიკზეა მისული და რიგები დგას ჩვენ მხარესაც. ჩვენ არ გვაქვს 10 და 20-გეითიანი გასასვლელი, ახლაც გვიჭირს გატარება, თუმცა გაძლიერებული გვაქვს დანაყოფები, რომ მაქსიმალურად გავფილტროთ და ვინმე არ შემოგვეპაროს. უსაფრთხოების სამსახურიც გვეხმარება. ამაზე მეტი აღარ მგონია გაიზარდოს, ველარ გავატარებთ ფიზიკურად", - თქვა მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით, ტურისტულ პერიოდში, 2022 წლის აგვისტოში, საქართველოში რუსეთიდან ყაზბეგის გავლით საზღვარი 213 100-მა ადამიანმა გადმოკვეთა - საშუალოდ, კვირაში 53,3 ათასმა ადამიანმა. 2019 წელს კი, კორონავირუსის პანდემიამდე, სექტემბერში საქართველოში რუსეთიდან ყაზბეგის გავლით საზღვარი 169 915-მა გადმოკვეთა - საშუალოდ კვირაში 42,3 ათასმა პირმა.

21 სექტემბერს რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, რუსეთის საზღვარზე სახმელეთო სასაზღვრო- გამშვებ პუნქტებზე მრავალსაათიანი რიგები გაჩნდა. საქართველოს საზღვარზე ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გარდა, საცოცხეგია ყაზახეთის, მონღოლეთისა და ფინეთის საზღვრებზე.

ტომარა ფქვილის ფასი შემცირდა

საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, ლევან სილაგავას განცხადებით, ერთი ტომარა ფქვილის ფასი 13 ლარით შემცირდა. როგორც მან განაცხადა, ფასის შემცირება ორმა ფაქტორმა განაპირობა, ე.წ. უკრაინის დერეფანმა და რუსეთში ხორბლის უხვმა მოსავალმა.

„მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის ფასი შემცირდა. ხორბლის ფასი 2-3 თვის წინ პიკზე იყო 400 დოლარის ფარგლებში, დღეს კი შემოსატანი ხორბლის ფასი 320 დოლარის ფარგლებშია. ასევე, პიკის დროს 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 85 ლარი იყო, დღეს არის 72 ლარის ფარგლებში. შესაბამისად, ეს არის ასახული ბაზარზე. რამდენადაც ცნობილია, ჩვენმა კოლეგა პურის მწარმოებლებმა პურის გარკვეულ სახეობებზე ფასი 10 თეთრით შეამცირეს. ეს ის ინფორმაციაა, რაც პრესიდან ვიცით.

ფქვილის ფასის შემცირება განაპირობა იმან, რომ რამდენიმე თვის წინ უკრაინის ე.წ.ხორბლის დერეფანი ამუშავდა. იცით, რომ სერიოზული პრობლემა იყო უკრაინის პორტებიდან მარცვლეულის გამოტანა, მათ შორის, ხორბლის, იქიდან გამომდინარე, რომ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. შესაბამისად, ამ დერეფნის ამუშავებამ შესაძლებლობა მისცა მსოფლიო ბაზარს, რომ მიწოდებულიყო ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები. ამან დააბალანსა მსოფლიო ბაზარზე ვითარება. აგრეთვე, დაიწყო ხორბლის ახალი მოსავლის მიღება რუსეთში, სადაც რეკორდული მოსავალია. შესაბამისად, ორმა ფაქტორმა - უკრაინის ე.წ.დერეფანმა და რუსეთში ხორბლის ძალიან დიდმა მოსავალმა გამოიწვია ის, რომ ფასების კლება დაიწყო. გაიაფდა მცურავი ბაჟიც, ყოველკვირეული ბაჟი. როდესაც 2-3 თვის წინ 100 დოლარზე მეტი იყო, პიკზე 140 დოლარი, დღეს არის 45 დოლარი. საკმაოდ დიდი კლება მოხდა. ამ ყველაფერმა მოგვცა საშუალება, ხორბლის შემოტანა განახლებულიყო",- განაცხადა სილაგავამ.

მისივე თქმით, ე.წ. ხორბლის დერეფნის პირველ მონაკვეთს მუშაობის ვადა ნოემბრის თვეში გასდის, რამაც შესაძლოა ფასის სტაბილურობას გარკვეული რისკები შეუქმნას.

„წისქვილკომბინატების გარკვეული ნაწილი, რომელიც გაჩერებული იყო, ამუშავდა. დიდი წისქვილები უყურებენ, რომ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, მათაც შეეძლებათ ამუშავება, რაც ხორბლის მარაგების შექმნისთვის ძალიან კარგი წინაპირობაა. უსაფრთხოებისთვის გვჭირდება ეს ყველაფერი. ე.წ. ხორბლის დერეფნის პირველ მონაკვეთს მუშაობის ვადა გასდის ნოემბრის თვეში. ეს გასაგრძელებელია. ნოემბრის თვეში ამ ვადის გასვლასთან დაკავშირებით შესაძლოა, გარკვეული რისკები შეიქმნას ბაზარზე. რუსეთის პრეზიდენტმა უკვე დააანონსა და განაცხადა, რომ ისინი უკმაყოფილოები არიან იმით, რომ ხორბლის დერეფნის მუშაობასთან ერთად, რუსეთს არ ეძლევა საშუალება, რომ მათ შორის რუსული ხორბლის აქტიური გატანა მოხდეს მსოფლიო ბაზარზე, ასევე სასუქების. მემორანდუმი იყო გაეროსთან, რომ შეუფერხებლად მომხდარიყო რუსული ხორბლის გატანა. ხორბალი სანქცირებული არ არის, პრობლემა იყო ის, რომ რუსული ტვირთით დატვირთული გემების შესვლაა შეზღუდული პორტებში, მათ შორის ამსტერდამის, ჰამბურგის, ტრანსპორტირება არის შეზღუდული. აქედან გამომდინარე შესაძლოა, რომ ე.წ. ხორბლის დერეფანთან დაკავშირებით რისკები შეიქმნას. თუ გადაწყდა პოლიტიკურად და გაგრძელდება ე.წ. ხორბლის დერეფნის მუშაობა, მაშინ სტაბილური მდგომარეობა იქნება, თუ დაიბლოკება ეს დერეფანი, საომარი მოქმედებები გაგრძელდება ოდესის მხარეს, მაშინ შეიძლება საფრთხე შეექმნას და სხვაგვარად განვითარდეს მოვლენები", - აღნიშნავს სილაგავა.

ირმა ხეცურიანი მსოფლიოს თასზე ჩემპიონი გახდა

საქართველოს ეტლით მოფარიკავეთა ნაკრები მსოფლიოს თასის გათამაშებაში წარმატებით ჩაება - პიზაში მიმდინარე პრესტიჟულ შეჯიბრებაზე, ქალთა შორის, ხმლით ფარიკაობაში გამოვლინდნენ ჩემპიონ-პრიზიორები და ორი მედალი ქართველებმა მოიპოვეს.

ირმა ხეცურიანი მსოფლიოს თასზე წაუგებლად გამოვიდა და ჩემპიონი გახდა, ნინა თიბილაშვილმა კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ხეცურიანმა ფინალში იტალიელი მეტოქე დაამარცხა, ანგარიშით 15:9. მსოფლიოს თასზე რაპირით ფარიკაობაში გათამაშდება მედლები და ირმა ხეცურიანი და ნინა თიბილაშვილი ამ დისციპლინაშიც ჩაებმებიან კონკურენციაში. მათ გარდა, საქართველოს ნაკრებს გვანცა ზადიშვილიც წარმოადგენს.

ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეებმა მზია გიორგობიანმა და ილია ბეგიაშვილმა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, გივი მეტრეველთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP-ის) ფარგლებში მიმდინარე პროექტის ღირებულება 4,8 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს და მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება.

სულ, კახეთის რეგიონში PIRDP-ის ფარგლებში, 54 293 782 ლარის 35 პროექტია დაფინანსებული.

მედალოსნების გრანდიოზული დაჯილდოება კახეთში

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ინიციატივით სკოლის წარჩინებით დამთავრებისთვის ახალგაზრდები დაჯილდოვეს. დედოფლისწყაროდან წლევანდელ გამოშვებაში 29 ოქროს, 6 კი ვერცხლის მედალოსანია, თუმცა, მათგან უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო სრული დაფინანსების მოპოვება მხოლოდ ორმა შეძლო.

დაჯილდოების მასშტაბური ღონისძიება წინანდლის ისტორიულ მამულში გაიმართა. რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტიდან 300-მდე ოქროს და ვერცხლისმედალოსანი ახალგაზრდა შეიკრიბა. წარჩინებულ მოსწავლეებს სიტყვით მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, ალავერდელმა მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა, პარლამენტის დეპუტატებმა - ირაკლი ქადაგიშვილმა და დავით სონღულაშვილმა და მუნიციპალიტეტების მერებმა მიმართეს.

სკოლის წარჩინებით დამთავრებისთვის ახალგაზრდებს სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. ვერცხლისმედალოსნებს წახალისების მიზნით 400, ხოლო ოქროსმედალოსნებს 500 ლარი გადაეცემათ.

ღონისძიების მიზანს ახალგაზრდა თაობისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, სტიმულირება და პოპულარიზაცია წარმოადგენს.

კახეთის წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოების ინიციატივა კახეთის სახელმწიფო რწმუნებულს, გიორგი ალადაშვილს ეკუთვნის. დაჯილდოების ცერემონია ყოველწლიურად ჩატარდება და ტრადიციულ ხასიათს მიიღებს.

დავით სონღულაშვილი ***(პარლამენტის წევრი):*** „ყველამ ერთად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თქვენ შემდეგ რა თქმა უნდა კახეთში დაბრუნდეთ და ჩვენს კუთხეს მოახმაროთ ცოდნა და შესაძლებლობები, რასაც სტუდენტობისას შეიძენთ. განათლება არის ფუნდამენტი ჩვენი ქვეყნის სიძლიერის. ამიტომაც თითოეული ჩვენგანი ხელებდაკაპიწებული ვშრომობთ, რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობები გავაჩინოთ რეგიონში. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ ახალგაზრდებს განვითარების შესაძლებლობები ადგილზე, რაიონებში ჰქონდეთ. ყველა ის ინფრასტრუქტურა, რაც აუცილებელია ამ პროცესში ახალგაზრდების განვითარებისთვის, უნდა შევძლოთ და აქ მოგცეთ. დაიმახსოვრეთ, ჩვენ შევძლებთ, რომ კახეთი ამისათვის მზად იყოს და ხვალინდელი დღე თქვენი იქნება. მხოლოდ ერთობლივი შრომით შევძლებთ უკეთესი ქვეყნის შენებას. მინდა წარმატებები გისურვოთ ამ ახალ ასპარეზზე“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მივესალმები იმ გულანთებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ასე მრავლად არიან ამ დარბაზში. მივესალმები მშობლებს, რომლებიც ახლა ყველაზე ამაყები არიან, რადგან კარგი შვილები აჩუქეს ჩვენს რეგიონს. წინანდალში რომ მოვდიოდი, გზაზე ვფიქრობდი, რაზე ვისაუბრებდი, მაგრამ ამდენ ახალ სტუდენტს, ბედნიერ, გულანთებულ თაობას რომ შევხედე, გადავწყვიტე გულიდან ამოსული სიტყვები ვთქვა. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ რაღაცეები არ გამოგვდის. მაგრამ, ახალგაზრდების შემართებას რომ ვხედავ, დავრწმუნდი, ყველა წინაღობას გადავლახავთ და ჩვენი ქვეყანა წარმატებებს მიაღწევს. მე ვიცი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების გეგმები. მათ შორის ბევრს უნდა, რომ საზღვარგარეთ გააგრძელოს სწავლა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, აუცილებლად უნდა ჩააბაროთ, მაგრამ ამ მშვენიერ ადგილას, ჭავჭავაძეების ისტორიულ მამულში ყველამ პირობა უნდა დავდოთ, რომ განვითარებისთვის წავალთ ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, მაგრამ შემდეგ აუცილებლად დავუბრუნდებით ჩვენს მშობლიურ კუთხეს და ცოდნას და გამოცდილებას მოვახმართ ჩვენს დედოფლისწყაროს... ეს ძალიან მნიშვნელოვანია... „ბოლო ზარზე“ ყველა რაიონის მერი მივედით სკოლებში და მივულოცეთ ეს დღე, მაგრამ დღეს სხვა ეფექტი აქვს ამ ყველაფერს, როცა რვავე მუნიციპალიტეტის წარმატებულ მოსწავლეებს ერთად გხედავთ. ასეთი ჭკვიანები და ლამაზები რომ ხართ, დამიჯერეთ, მე ვარ ამაყი! მინდა თითოეულ თქვენგანს მოგილოცოთ ეს წარმატება. მე 2000 წელს დავამთავრე სკოლა. მაშინ არც ოქროს მედლები იყო და არც ასეთი ლამაზი ღონისძიებები. ირგვლივ ყველაფერი უფერული და ნაცრისფერი იყო, თითქოს იმედიც დაკარგული გვქონდა. დღეს კი ასეთი შეხვედრები დიდი სტიმულისა და იმედის მომცემია. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ვისი შთამომავლები ვართ. არ დაივიწყოთ, რომ ნიკო ფიროსმანის, ილია ჭავჭავაძის, მეფე ერეკლეს შთამომავლები ვართ. გისურვებთ მიაღწიოთ წარმატებებს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. შემდეგ კი აუცილებლად დაგვიბრუნდეთ, რომ ერთად ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა“.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2022-ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

CENN-*მა, **ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსის - ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალურ შეხვედრას უმასპინძლა. დედოფლისწყაროდან რამდენიმე სკოლა მონაეილეობდა, გამარჯვებულთა შორის კი ქ. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაა.***

ფინალური შეხვედრის მონაწილე საქართველოს 32 სკოლის ეკოკლუბის წარმომადგენლებმა ჟიურისა და მოწვეულ სტუმრებს ის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობები წარუდგინეს, რომლებიც თავიანთ ქალაქებსა თუ სოფლებში წლის განმავლობაში განახორციელეს.

ფინალურ შეხვედრაზე გამოვლინდნენ გამარჯვებული სკოლები:

*** I ადგილი - აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა**

*** II ადგილი - რუსთავის №18 საჯარო სკოლა**

*** III ადგილი - როკითის საჯარო სკოლა**

გამარჯვებულ სკოლებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისათვის:

*** I ადგილის მფლობელი - 5,000 ლარი**

*** II ადგილის მფლობელი - 4,000 ლარი**

*** III ადგილის მფლობელი - 3,000 ლარი**

გარდა ამისა, დასახელდნენ კონკურსის პარტნიორების რჩეული ეკოკლუბები და დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 7 რჩეულ სკოლას 250 ლარიანი წიგნების ვაუჩერი, ხოლო 3 რჩეულ სკოლას 500,400 და 300 ლარიანი ტექნიკის ვაუჩერები გადასცა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რჩეული სკოლები გახდნენ: **კასპის №3 საჯარო სკოლა, ბადიაურის საჯარო სკოლა, ტყიბულის №2 საჯარო სკოლა, რცხმელურის საჯარო სკოლა, საჩხერის №2 საჯარო სკოლა, აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა, ბობოყვათის საჯარო სკოლა, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა, მარადისის საჯარო სკოლა, ეშტიის საჯარო სკოლა.**

ეროვნული სატყეო სააგენტოს რჩეული ეშტიის საჯარო სკოლა გახდა. სააგენტომ ეშტიის სკოლის ეკოკლუბს ტელესკოპი გადასცა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რჩეული ჟიურის მუდმივმა წევრმა, კარლო ამირგულაშვილმა გამოავლინა. მათი რჩეული ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა გახდა. სკოლის ეკოკლუბის მომხსენებლები ერთი დღით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები გახდებიან.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გამოვალინა „მწვანე ჯილდოს“ მფლობელი მასწავლებელი - ნონა ტოკლიკიშვილი, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლიდან. ასევე, ცენტრმა სპეციალურ ნომინაციაში - „წლის ეკო-სპიკერი“ დაასახელა - ანიტა ლაზიშვილი, ალამბრის საჯარო სკოლიდან და მას წიგნების 200 ლარიანი ვაუჩერი გადასცა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი რჩეულ სკოლებს წიგნის სახლი „ლიგამუსის“ 300 ლარიანი ვაუჩერები გადასცა. ილიაუნის რჩეული სკოლები გახდნენ: **ლაფანაანთკარის საჯარო სკოლა, შულავერის საჯარო სკოლა, ძველი ანაგის საჯარო სკოლა, კაჭრეთის №1 საჯარო სკოლა, კახათის №1 საჯარო სკოლა.**

ასევე, სპეციალური პრიზი დააწესა პარტნიორმა ორგანიზაცია Grant Thornton Georgia / granT TornTon საქართველომ და 3 გამარჯვებულ სკოლას საჩუქრად ტრენინგების სესია გადასცა.

ფინალური შეხვედერა გახსნეს და მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ: თამარ მახარაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე; სოლომონ პავლიაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; თომას მიულმანი - ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; ალექსანდერ კარნერი - ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის საკოორდინაციო ოფისის ხელმძღვანელი; საბინე მახლი - გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში; ნანა ჯანაშია - CENN-ის აღმასრულებელი დირექტორი.

ფინალურ შეხვედრაზე ჟიურის წევრებს შორის იყვნენ და მონაწილეებს აფასებდნენ: კარლო ამირგულაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ნათია იორდანიშვილი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე; თამარ ალადაშვილი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი; ეკა თარგამაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი; მურო თაკალანძე - საქართველოს გაეროს ასოციაციის კომუნიკაციების მენეჯერი; ანა მოსიაშვილი - ქალთა გაძლიერების ექსპერტი. ასევე, ჟიურის შორის იყო ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ელჩი და წლის მასწავლებელი (2019) - ლადო აფხაზავა.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია ხორციელდება CENN-ის მიერ, პროექტის - ტყის მდგრადი მართვა სოფლის განვითარებისათვის - ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის თანაორგანიზატორები არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი.

„წელს გრიპის უფრო მეტი შემთხვევა იქნება – წლევანდელი წელი იქნება ისეთივე, ან უფრო აქტიური, ვიდრე პანდემიამდე იყო“

„წელს გრიპის უფრო მეტი შემთხვევა იქნება - ნათლად ჩანს, რომ ქვეყანამ უკვე გადაიტანა გრიპის შემთხვევების მატების ორი პიკი, ერთი ზამთარში, მერე - ზაფხულში, მესამე პიკი, რა თქმა უნდა, იქნება“- ამის შესახებ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა, თსსუ-ის პროფესორმა ივანე ჩხაიძემ განაცხადა.

როგორც ივანე ჩხაიძე განმარტავს, ზამთრის პიკი ადვილად ახსნადია, აღნიშნული უკავშირდება დახურულ სივრცეში უფრო მეტი ადამიანის თავმოყრას, უფრო მეტ მჭიდრო კონტაქტს.

„წლევანდელი წელი იქნება ისეთივე, ან უფრო აქტიური, ვიდრე პანდემიამდე იყო. გრიპის უფრო მეტი შემთხვევა იქნება, ვიდრე წინა წლების განმავლობაში. ამ მხრივ მაქსიმალური მზაობა უნდა იყოს. მონაცემების თანახმად, ნათლად ჩანს, რომ წელს ქვეყანაში გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების პიკი იყო არა იანვარ-თებერვალში, არამედ მაის-ივნისში. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როდესაც გრიპი ზაფხულში ფიქსირდებოდა. ზაფხულშიც იყო გრიპი დაფიქსირებული, ივლისში იაშვილის კლინიკაში 2 ბავშვი მკურნალობდა გრიპის დიაგნოზით. ასეთი რამ არასდროს მომხდარა, ამის უკან დგას კორონავირუსი. წლევანდელი სეზონი გამორჩეულია, გამოვა, რომ საავარაუდოდ, ორი პიკი გვექნება, ერთი ზაფხულის, მეორე ზამთრის. ზამთრის პიკი ადვილად ახსნადია, ეს არის დახურულ სივრცეში უფრო მეტი ადამიანის თავმოყრა, მეტი კონტაქტი, როდესაც აცივდება, სეზონური ვირუსების რაოდენობა მოიმატებს. ნათლად ჩანს, რომ ქვეყანამ უკვე გადაიტანა გრიპის შემთხვევების მატების ორი პიკი, ერთი ზამთარში, მეორე-ზაფხულში, მესამე პიკი, რა თქმა უნდა, იქნება“,- აღნიშნავს ივანე ჩხაიძე.

მან კორონავირუსზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „კორონავირუსის შემთხვევები აუცილებლად მოიმატებს, მაგრამ არ გვაქვს მოლოდინი, რომ ეს იქნება სერიოზული მატება და მნიშვნელოვანი ზეწოლა სტაციონარულ სექტორზე“.

როგორც გაზეთი „შირაქი“ გასულ ნომერში წერდა, ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი იმ სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალსაც აქვეყნებს, სადაც გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრა არის შესაძლებელი.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, თამარ გაბუნიას ინფორმაციით, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრა შესაძლებელია როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

როგორც გაბუნია განმარტავს, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში, ქვეყნის მასშტაბით, 400-მდე სამედიცინო დაწესებულება არის ჩართული.

„ვაქცინაციის პროცესში, ქვეყნის მასშტაბით, 400-მდე სამედიცინო დაწესებულება არის ჩართული. 21 სექტემბერს დაიწყო გრიპის საწინააღმდეგო ოთხ -კომპონენტიანი ვაქცინით აცრა. პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს როგორც დიდ ქალაქებში, ასევე რეგიონებში. პირველ რიგში იცრებიან ქრონიკული დაავადების მქონე პირები, ასევე ხანდაზმულები. აცრის წერტილი ყველა იმ დაწესებულებაშია, სადაც მიეწოდება პირველადი ჯანდაცვის სერვისი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. ამ დაწესებულებებს გაგზავნილი აქვთ ვაქცინების მარაგი. უმჯობესია, პაციენტმა მიმართოს იმ დაწესებულებას, სადაც ის იმყოფება აღრიცხვაზე პირველადი ჯანდაცვის სერვისისთვის. თუ პაციენტი მიდის სხვა დაწესებულებაში და არ აქვს ფორმა ასი, რთულია იდენტიფიცირება დიაბეტი აქვს, ქრონიკული დაავადება თუ სხვა, ასევე რამდენად ექვემდებარება აცრას კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამისად.

უმჯობესია, თუ მივლენ იქ, სადაც მისი ოჯახის ექიმია და იცის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუ ვერ მოახერხებენ იქ მისვლას, მაშინ თან

ფ/პ გულნარი აპრესაშვილი(იმუნიზაცია)	კახეთი
ფ/პ ირმა შუბლაძე(იმუნიზაცია)	კახეთი
ი/მ თამარი ელიზბარაშვილი(იმუნიზაცია)	კახეთი
ფ/პ ხათუნა მელექსიშვილი(იმუნიზაცია)	კახეთი
ფ/პ ნანული ადამიძე(იმუნიზაცია)	კახეთი
ფ/პ მანანა ქერეჭაშვილი(იმუნიზაცია)	კახეთი
ფ/პ თინათინ ციქურიშვილი(იმუნიზაცია)	კახეთი
ფ/პ მაია მუღალაშვილი(იმუნიზაცია)	კახეთი

უნდა იქონიონ ფორმა ასი. აცრები საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს, ჯერ გრიპის ვირუსის ცირკულაცია არ დაწყებულა, უფრო მოსალოდნელია, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყოს, კარგია აცრები რომ დავიწყეთ, რადგან მომზადებული შეხვდება მოსახლეობა. პროცესი მიმდინარეობს და შეფერხებები არსად არ არის. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ყოველდღე მიყვება პროცესს, საინფორმაციო კამპანიაც გაფართოვდება, მოსახლეობას ექნება აცრის შესაძლებლობა“, - აღნიშნავს გაბუნია.

ცნობისთვის, ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 21 სექტემბერს დაიწყო. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ, 200 000 დოზა, „სანოფი პასტერის“ წარმოების, ოთხკომპონენტიანი ვაქცინა უკვე შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმოს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის.

გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რისკ ჯგუფებს, ვისაც დაავადების გართულების მომატებული რისკი აქვთ, უფასოდ ჩაუტარდებათ. რისკის ჯგუფებს შეუძლიათ, მიმართონ ვაქცინაციის მიმწოდებელ დაწესებულებებს. სერვისის მისაღებად, თან უნდა იქონიონ საკუთარი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში, ქვეყნის მასშტაბით, 400-მდე სამედიცინო დაწესებულება არის ჩართული.

ГРИПИС СА�წИНААЛГМДЕГО ВА�ქЦИНАЦИА АРИС ГРИПИС ПРЕВЕНЦИИС ДА МИСГАН ГАМОწВЕУЛИ МАქИМЕ ШЕДЕГЕБИС ЧВЕЛАЗЕ ЕФЕქТУРИ СПЕЦИФИКУРИ САШУАЛЕБА. МЕЦНИЕРУЛ КВЛЕВЕБЗЕ ДАЧРДНОТ, ВАქЦИНАЦИАС ШЕУქЛИА ГРИПИТ ДААВАДЕБИС РИСКИ ШЕАМЦИРОს 60%-ИТ МТელს МОსАხლეОბაში ГРИПИС СЕზОНის განმავლობაში. ГРИПმა შეიქლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები მანამდე სრულიად ჯანმრთელ ადამიანებშიც კი. ყოველწლიურად გრიპის მიზეზით ილუპება 500000 ადამიანი. გრიპის ვაქცინა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო სამედიცინო პროდუქტია უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით.

ჩაიტარე გრიპის ვაქცინაცია და იყავი დაცული ვირუსისაგან!

კორონავირუსით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირები იზოლაციას აღარ ექვემდებარებიან

კორონავირუსით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირები იზოლაციას აღარ ექვემდებარებიან. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაშია ნათქვამი, რომელიც 27 სექტემბრით თარიღდება.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფ პირებს ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია.

„COVID-19-ით დაავადებულთან კონტაქტში მყოფი პირები არ ექვემდებარებიან იზოლაციას, ამასთან, ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მაღალი რისკის კონტაქტის შეწყვეტიდან მომდევნო 10 კალენდარული დღის განმავლობაში (მათ შორის, დაბალი რისკის გარემოში მოხვედრისას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საცხოვრისში, თავის არიდება ისეთი ადგილებისგან, სადაც ნიღბის გამოყენება შეუძლებელია, მაგ: საზ.კვების დაწესებულებებში და ა.შ“.- აღნიშნულია დადგენილებაში.



ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ გაბუნიამ აღნიშნა, რომ „КОРОНАВირუსის გავრცელების ტენდენცია დაღმავალია, შეიმჩნევა შემთხვევების კლება. კოვიდის კუთხით ეპიდვითარება სტაბილურია“. ამასთან, როგორც გაბუნია განმარტავს, ქვეყანაში ახალი შტამები არ გამოკვეთილა. „КОРОНАВირუსის გავრცელების ტენდენცია დაღმავალია, შეიმჩნევა შემთხვევების კლება. კოვიდის კუთხით ეპიდვითარება სტაბილურია. გრძელდება ტესტირების პროგრამა, ასევე ვაქცინაციის. КОРОНАВირუსის სტატისტიკა თვეში ერთხელ გამოქვეყნდება“, - აღნიშნა გაბუნიამ.

პ.ს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორი, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი აცხადებს, რომ მსოფლიო არასდროს ყოფილა უკეთეს მდგომარეობაში კორონავირუსის პანდემიის დასასრულებლად, როგორც ახლა. მან მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა, გააგრძელონ ძალისხმევა ვირუსის წინააღმდეგ, რათა აღარ მოხდეს კორონავირუსის ახალი ტალღების გავრცელება.

„КОРОНАВირუსის პანდემიის დასასრული არც ისე შორსაა“, - ***განაცხადა ჯანმოს დირექტორმა. პლატფორმა worlometers-ის მონაცემებით, მსოფლიოში ჯამში კორონავირუსის 615 მილიონზე მეტი შემთხვევა დადასტურდა, ვირუსს 6.5 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.***

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

დედოფლისწყაროს „ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა

პოპულარულ სატელევიზიო კონკურსის „ეტალონი“ წლევანდელ ჩემპიონატში დედოფლისწყაროს ყველა საჯარო სკოლა მონაწილეობდა. როგორც პროექტის ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, დედოფლისწყაროს „ეტალონი მოსწავლე“ გახდა დედოფლისწყაროს №1 სკოლის მოსწავლე** ირაკლი საბიაშვილი. ***ის IX კლასის მოსწავლეა და ყველაზე მაღალი, 91 ქულის მოგროვება შეძლო.

როგორც დედოფლისწყაროს №1 სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, სამივე საპრიზო ადგილზე მათი სკოლის მოსწავლე გავიდა. მისი თქმით, მე-2 და მე-3 ადგილებიც ჩვენი სკოლის საუკეთესო და წარმატებულ მოსწავლეებს – მარიამ ყოჩიაშვილსა (86 ქულა) და ლაშა ჭუბაბრიას (84 ქულა) ხვდათ წილად.

დედოფლისწყარო ფინალში ახმეტის, ადიგენისა და ბაღდათის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდა და ყველაზე მაღალი შედეგები ჩვენმა მოსწავლეებმა აჩვენეს. სხვა მუნიციპალიტეტების სკოლებს 80-ზე მაღალი ქულა არ მიუღიათ, მაშინ, როცა დედოფლისწყაროდან 91 ქულაც დაფიქსირდა და მეორე - მესამე ადგილზე გასული დედოფლისწყაროელებიც კი 84-86 ქულებს აფიქსირებდნენ. სხვა რაიონებში ეტალონი მოსწავლეც 80 და უფრო ნაკლები ქულით გამოვლინდა.

გამარჯვებულები ოქროს დიპლომით დაჯილდოვდნენ. პროექტის მიხედვით, გამარჯვებული მოსწავლეები შემდგომში თავიანთი მუნიციპალიტეტების სახელით სხვა მუნიციპალიტეტების გამარჯვებულებს შეეჯიბრებიან. გაიმართება ლაივ ვიდეო კონკურსი.

გაზეთი „შირაქი“ „ეტალონის“ ტიტულის წლევანდელი მფლობელის ხედვებითა და სამომავლო გეგმებით დაინტერესდა:

ირაკლი საბიაშვილი: „ერთ დღეს სკოლაში მასწავლებელმა გამოგვიცხადა, რომ „ეტალონი“ იწყებოდა და, სურვილის შემთხვევაში, რეგისტრაცია გაგვევლო. მიყვარს ასეთი შეჯიბრებები და სიამოვნებით ჩავერთე. მსგავსი აქტივობები გვეხმარება, რომ სწრაფი და საღი აზროვნება გვქონდეს. ველოდი თუ არა მთავარ წოდებას? - ნაწილობრივ კი, თან არა... თუმცა, ჩემი თავის მაინც ბოლომდე მჯეროდა. გამიმართლა და გავიმარჯვე. ძალიან გამიხარდა, როცა მეორე ეტაპი უშეცდომოდ და მხოლოდ სამი გამოტოვებით გავიარე. როცა გამოაცხადეს, რომ ყველა მუნიციპალიტეტიდან საუკეთესო შედეგი დავდე, ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩემი დედოფლისწყარო ვასახელე. სკოლაში ყველა საგანი მიყვარს, თუმცა, გამოვარჩევდი მათემატიკას და ინგლისურს. პროფესიას რაც შეეხება, ჯერჯერობით პროგრამისტობაზე ვფიქრობ. XXI-ე საუკუნეში გავრცელებულია ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, შესაბამისად, მეც დამაინტერესა ე.წ. „კოდინგმა“, კოდების წერამ, შექმნამ და ა.შ. მათემატიკა ბავშვობიდან მიყვარდა, რადგან 2 წლის ასაკიდან ჟანა ბებია მასწავლიდა ხოლმე. ამის გამო ადრეული ასაკიდან შემიყვარდა მათემატიკა და მას შემდეგ მისი „ერთგული ვარ“. ბევრის სწავლას ვცდილობ. ინგლისური ჩემი საყვარელი უცხო ენაა, რადგან ამერიკაში ცხოვრებაზე ვოცნებობ. იქაური ცხოვრების სტილი, გარემო და ხალხი მომწონს.

სწავლების ხარისხს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ყველგან ერთ დონეზე ისწავლებოდეს, თუმცა, ჩემი დაკვირვებით ვიტყვი, რომ თბილისის სკოლების დიდი ნაწილი რეგიონების სკოლებს სჯობს. ზოგ მოზარდს ურჩევნია გაერთოს, ისეირნოს მეგობრებთან ერთად და ასე შემდეგ, თუმცა, მეორე ნახევარი მიიჩნევს, რომ უპირველესია სწავლა და შემდეგ სხვა ყველაფერი. მე პირადად დედაქალაქში კომაროვის შაბათ-კვირის სკოლაში დავდიოდი და ძალიან განსხვავდება იქაური სწავლება რეგიონების სკოლებისგან. მასწავლებლები უფრო კარგად ხსნიან ყველაფერს, უფრო ხალისიანად და ბავშვებიც განსხვავდებიან.

ასევე, „კინგსის“, „ევერესტის“ ჩემპიონატებში პირველი ხარისხის სიგელები მაქვს მოპოვებული. სხვადასხვა ინტელექტუალურ შეჯიბრში კი - ყოველთვის მაღალ დონეს ვაღწევ. გარდა ინტელექტუალური შეჯიბრებებისა, ვთამაშობ ფეხბურთს. ჩემს გუნდთან ერთად კახეთის თასის მოპოვება მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. ორი წელია, დედოფლისწყაროს საფეხბურთო კლუბ „შირაქის“ გუნდის კაპიტანი და ცენტრალური მცველი ვარ. სერიოზულად ვფიქრობ ფეხბურთში კარიერულ წინსვლაზე. ძალიან დიდი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში ბებიამ და მშობლებმა, ჩემი წარმატება მათი დამსახურებაა. ასევე დიდი გავლენა იქონია ჩემზე პაპამ, რომელიც, სამწუხაროდ, მალე გარდაიცვალა. ჩემი ყველა მიღწევა, სიგელი, ტიტული, გამარჯვება თუ გოლი ჩემს საყვარელ პაპას ეძღვნება. ძალიან პატარა ვიყავი, ბევრი არაფერი მახსოვს, თუმცა, მეუბნებოდა, რომ ყოველთვის ვყოფილიყავი ადამიანი, არ შემშინებოდა არაფრის და ყოველთვის მეერთგულა ჩემი ოცნებებისთვის. თანამედროვე რეალობაში ძალიან ბევრ ჩემს თანატოლს ურჩევნია ითამაშოს კომპიუტერზე, ტელეფონზე და არ ისწავლოს. ჩემთვის პირველ რიგში სწავლაა და შემდეგ ეს ყველაფერი. ჩემი კარგი სწავლით მშობლებისგანაც ვიღებ საჩუქრებს, წელს მაგალითად, „ფლეისთეიშენ 5“ დავიმსახურე, შარშან ტელეფონი და ა.შ. მომწონს ბევრი ახალგაზრდის ჩაცმის სტილი, თუმცა, მათი უმეტესობა ზრდილობასთან და პასუხისმგებლობასთან მწყრალადაა. საბედნიეროდ, არსებობენ გამონაკლისებიც. მინდა, რომ ჩვენი თაობისთვის მთავარ ამოცანად იქცეს მიზანსწრაფულობა და სწორი ღირებულებები.

კონკურსის საბოლოო შედეგები:

1) **ირაკლი საბიაშვილი** – 91 ქულა (№1 სკოლა)
2) **მარიამ ყოჩიაშვილი** – 86 ქულა (№1 სკოლა)
3) **ლაშა ჭუბაბრია** – 84 ქულა (№1 სკოლა)
4) **შოთა ილურიძე** – 79 ქულა (ზემო ქედის №2 სკოლა)
5) **ნინო ხუციშვილი** – 79 ქულა (ზ/ქედის №1 სკოლა)
6) **ანა თარალაშვილი** – 75 ქულა სპატრიარქოს სკოლა
7) **ლიკა ბენაშვილი** – 73 ქულა (არხილოსკალოს სკოლა)
8) **კობა ცაბურაშვილი** – 72 ქულა (ქვემო ქედის სკოლა)
9) **ლიკა მენთეშაშვილი** – 71 ქულა (№1 სკოლა)

ილია მარტყოფლიშვილი

„საინტერესო იდეები შეძენილი ცოდნის გადამუშავების შედეგია“

თანატოლებისგან განსხვავებით ის საზღვარგარეთ წასვლას არ აპირებს. მიიჩნევს, თუ სწავლა და მუშაობა გინდა, ეს ჩვენს ქვეყანაშიც შესაძლებელია. დღეს დედოფლისწყაროელი გრაფიკოს-დიზაინერი* ნიკა ხუციშვილი *გვინდა გაგაცნოთ, რომელმაც ჰობი პროფესიად და შემოსავლის წყაროდ აქცია. საჭირო უნარების გამომუშავება და სპეციალური კურსების გავლა კი უფასოდ მოახერხა. ასაკის მიუხედავად, ყველა მისი ნაბიჯი წარმატებულია. როგორც „შირაქს“ უყვება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მენეჯმენტის მიმართულება 2021 წელს დაამთავრა, დიზაინი დიდი ხნის განმავლობაში მისთვის ჰობი იყო, ახლა უკვე პროფესიაა.

ნიკა ხუციშვილი: „ბავშვობაში ხატვა ძალიან მიყვარდა, პლასტელინით ძერწვაც. თუმცა, ეს ინტერესი მხოლოდ დაწყებით კლასებში მქონდა და აღარ გამიგრძელებია. პირდაპირ არ არის დაკავშირებული გრაფიკულ დიზაინთან, თუმცა, ორივეს ის აერთიანებს, რომ შეგიძლია შენი იდეები თუ ფანტაზია ვიზუალურად გამოსახო. გრაფიკული დიზაინის შესახებ არ ვიცოდი 2020 წლამდე. გრაფიკულ დიზაინში ხატვის სიყვარული იმით გამოიხატება, რომ ჩემი იდეების ვიზუალურად გამოსახვა მომწონს. არ ვხატავ, ამისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტს ვიყენებ. უნივერსიტეტში სწავლის დროს პროგრამირების მიმართ გამიჩნდა ინტერესი, რადგან დისტანციურად მუშაობის პერსპექტივა ჰქონდა. თუმცა, ვერ მოვახერხე დამოუკიდებლად სწავლა, არც უფასო კურსზე მიმიღეს. ალბათ, ამიტომ დამაინტერესა გრაფიკულმა დიზაინმა, რადგან ბავშვობაში ხატვისგან მიღებული სიამოვნება და დისტანციური მუშაობის პერსპექტივა ერთ საქმეში გაერთიანდა. გრაფიკული დიზაინის შესახებ 2020 წელს სოციალურ სივრცეში ვნახე უფასო კურსი. წავიკითხე რამდენიმე სტატია ამ მიმართულებაზე, ზოგადი წარმოდგენა შემექმნა, თუ რას ეხება და დავრეგისტრირდი. სპონტანური გადაწყვეტილება იყო, არ ვიცოდი, რა მოლოდინი უნდა მქონოდა კურსისგან, საერთოდ მომეწონებოდა თუ არა. საბოლოოდ, ჩემი გადაწყვეტილება მართებული აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, რადგან ბევრად უფრო საინტერესო საქმიანობაა, ვიდრე ის, რაზეც უნივერსიტეტში ვსწავლობდი. **ხანდახან თამაშად აღვიქვამ იმას, რასაც ვაკეთებ.** გრაფიკული დიზაინი ბევრ მიმართულებას მოიცავს, თუმცა, შემიძლია ვაკეთო მხოლოდ ის, რაც მომწონს. მაგალითად, ფოტოების დამუშავება, ვიზუალური ელემენტების ანიმაციაში გაცოცხლება. ახლა ზუსტად ამას ვაკეთებ. ჩემთვის მთავარია, რომ იმ საქმიანობით ვარ დაკავებული, რომელიც მომწონს და თანხის გამომუშავებისთვის არ მჭირდება ოფისში სიარული.



– ნიკა, რამ განაპირობა შენი წარმატება გრაფიკულ დიზაინში?

– ჩემი წარმატება გრაფიკულ დიზაინში გამოცდილებისა და შრომის შედეგია. ნიჭი ამ საქმეში არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, რადგან დიზაინი გარკვეულ პრინციპებს და თეორიებს ეფუძნება. ეს კი, თავის მხრივ, სწავლებადია. ხედვაზეც იგივეს თქმა შემიძლია, მისი განვითარებაც შესაძლებელია. **კრეატიული, საინტერესო იდეები არ მოგვდის არსაიდან, ისინი შეძენილი ცოდნის გადამუშავების შედეგია.** შესაბამისად, რაც უფრო მეტია ცოდნა და გამოცდილება, მით მეტი შესაძლებლობა გაქვს, როგორც ტექნიკურ საკითხებში, ისე იდეების გენერირების მხრივ. უნივერსიტეტის გარდა, სადაც კი მისწავლია, ფული არაფერში გადამიხდია. განვითარებისთვის ვიყენებდი უფასო რესურსებს, ან სხვადასხვა აკადემიის კონკურსებში ვიმარჯვებდი, რომ საჭირო კურსი უფასოდ გამევლო. მაგალითად, „ფაბლაბში“, სამოტივაციო წერილის საფუძველზე, შემარჩიეს და გრაფიკული დიზაინი იქ ვისწავლე. ასევე სამოტივაციო წერილით მიმიღეს ციფრული ინდუსტრიის აკადემიაში, სადაც ე.წ. „მოუშენ“ დიზაინი (ანიმაცია) შევისწავლე.

ამჟამად ვქმნი ანიმაციებს სტარტაპისთვის, რომელსაც ისინი თავის პლატფორმაზე ატვირთავენ ტრენინგის სახით. გარდა ამისა, მალე გაეშვება გრაფიკული დიზაინის კურსი **Acton**-ის ონლაინ აკადემიაში, რომელსაც მე წარვუძღვები (ლექტორობის გამოცდილება აქამდეც მქონდა სხვა ორგანიზაციაში). პარალელურად, პროფესიულ განვითარებასაც არ ვწყვეტ. სულ მალე დამეწყება ვებ-დიზაინის კურსი **GITA**-ში, სადაც გამოცდის შედეგად მოვხვდი და უფასოდ ვისწავლი.

/დასასრული ბოლო გვერდზე/

აფხაზეთის გმირები დედოფლისწყაროდან

სოხუმის დაცემიდან 29 წელი გავიდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა 27 სექტემბერს აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და მერიის სოციალური სამსახურის უფროსთან, დოდო ხუნაშვილთან ერთად სამშობლოს თავდადებული გმირების: **კობა გიგაურის, დავით ჩხაიძისა** და **ჯემალ ღვედაშვილის** საფლავები ყვავილებით შეამკო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყაროელი გმირების ოჯახის წევრებს პატრიოტი მამულიშვილების აღზრდისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სამშობლოს წინაშე თითოეული მათგანის ღვაწლი ფასდაუდებელია. აფხაზეთის ომში

სამი გმირის საფლავი

დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე დაშვებული იყო სახელმწიფო დროშები.

აფხაზეთში სამშობლოს ერთიანობისთვის 7 დედოფლისწყაროელი დაილუპა. საქართველოს მთავრობამ სამხედრო ძალები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992 წლის 14 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის დაცვის მოტივით, გაგზავნა. თუმცა, სამთავრობო ძალებს 1993 წლის სექტემბერში რეგიონიდან გამოსვლა მოუხდათ. 13-თვიანი შეიარაღებული კონფლიქტის დროს 12 000 ადამიანი დაილუპა. ასეულობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დაიჭრა და დასახიჩრდა 10 ათასამდე კაცი, გაძევებულ იქნა 300 ათასზე მეტი ადამიანი. აქედან, 50-60 ათასი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი.

2008 წლის აგვისტოს ომის გმირების ისტორიები წიგნადაც აიკინძა და ბევრი დაიწერა, მაგრამ 90-იან წლებში აფხაზეთსა და ისტორიულ სამაჩაბლოში დაღუპულ გმირებზე ბევრი არაფერი ვიცით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რედაქციაში მრავალწლიანი უნიკალური არქივი ინახება, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დროს გაზეთსაც რთული დღეები ჰქონდა და აფხაზეთის გმირებზე შესაბამისი მასალები ვერ მომზადდა. გაზეთმა „შირაქმა“ გადაწყვიტა, პერიოდულად მათ შესახებ საინტერესო დეტალები გიამბოთ. „შირაქი“ ომში დაღუპული 21 წლის დათო ჩხაიძის დედას, ალა ჩხაიძეს ესაუბრა:

„დათო ჩხაიძე დაიბადა 1971 წლის 14 სექტემბერს, დაამთავრა წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლა, ცხრა კლასიდან ჯვაფარიძის პროფ.ტექნიკუმში სწავლობდა ტრაქტორისტ-მემანქანეობას. შემდეგ ტაჯიკეთში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. იქ კიზილში მსახურობდა. იმ დროს ტაჯიკეთისა და ავღანეთის სამხედრო დაპირისპირებაშიც იბრძოდა. 1992 წელს, ჯარიდან სამი თვის ჩამოსული არ იყო, წესიერად ვერც მოვისურვილეთ, რომ მაშინვე აფხაზეთის ომში გაინვიეს. მე არაფერი ვიცოდი, მოგვიანებით დედაჩემი მიყვებოდა, რომ კობა და ჯემალი სახლში მოვიდნენ, მას ეძინა, გააღვიძეს და ასე წავიდა აფხაზეთის დასაცავად.

ჯემალ ღვედაშვილი და დათო ჩხაიძე

სამი შვილი მყავდა, დათო შუათანა იყო, ნაბოლარა ქალიშვილი კი რამდენიმე თვის იყო, შავი ჭირით რომ დამეღუპა. უმამოდ ვზრდიდი შვილებს. 18 წელი წითელწყაროს რკინიგზის სადგურში მეისრედ ვიმუშავე, ბინაც რკინიგზამ მოგვცა, როგორც რკინიგზელთა ოჯახს. დათოს ჯარში წასვლის შემდეგ, ომამდე რამდენიმე წლით ადრე, გურჯაანში გადავედი სამუშაოდ. დათო გამორჩეულად მიყვარდა და სულ ვაფრთხილებდი, არაფერში გარეულიყო და თავს გაფრთხილებოდა. 1992 წელს, საპარიკმახეროში ვმუშაობდი, როცა დისპეტჩერმა დამირეკა, სასწრაფოდ წითელწყაროში, სახლში დავბრუნებულიყავი. მიზეზი არ მითხრეს და გამითიშეს. ღამე იყო, ველარაფერს გამოვყვებოდი, დავწექი, მაგრამ ვერ დავიძინე. აფორიაქებული ვიყავი და ზარამდეც ცუდი წინათგრძნობა მქონდა, ბოლო დღეებში მოსვენება დავკარგე. დილითვე გამოვიქეცი დედოფლისწყაროში, გზაზე, რკინიგზის სადგურთან მეზობელი შემხვდა: „დათო ჩამოასვენესო“ - მითხრა და გავქვავდი, ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, არ ვიცოდი, საიდან ჩამოასვენეს. ვიცოდი, რომ ომი დაიწყო, მაგრამ ჩემმა უფროსმა შვილმა და დედაჩემმა დამიმალეს, დათო გვარდიაში რომ წავიდა. მოვვარდი ჩემს ეზოში და სავსე იყო ჯარისკაცებით. დიდი თოვლი იყო. უკრაინიდან ჩემი ძმაც უკვე ჩამოსულიყო. როგორც თანამებრძოლებმა ამიხსნეს, ღალატი იყო. ე.წ. „ბეტეერში“ ისხდნენ, როცა ააფეთქეს. კობა გიგაური ადგილზე დაღუპულა, ჩემი შვილი დათო და ჯემალი გადმოსულან, ფეხით გარბოდნენ და ავტომატით ისროდნენ. შემდეგ სხვა ტანკები რომ მოდიოდნენ, ხელს უქნევდნენ, გაგვაყოლეთო და თურმე არავინ გაუჩერა. თორემ, თუ ჩაისვამდნენ, ალბათ, ესენიც გადარჩებოდნენ. როგორც მითხრეს, რადგან ფეხით მირბოდნენ, ამიტომ დაეცნენ, ალბათ, სნაიპერმა ესროლა... თურმე, სიკვდილის წინა ღამეს ბიჭები მღეროდნენ და ერთ-ერთს უთქვამს, „ნეტა ხვალ თუ ვიქნებით ცოცხლებიო“. ცხედრები ლანჩხუთის საავადმყოფოში ამოიცნეს ბიჭებმა. ალბათ, ეს ენერა ჩემს შვილს... ჩემთვის უცნობია, რამდენი ხანი გაატარა ჩემმა შვილმა ბრძოლის ველზე, როდის წაიყვანეს, არ გამიგია. ისიც არ ვიცი, კონკრეტულად რა ადგილას დაეცა. დაკრძალვის დღეს გაირკვა, რომ სასახლე პატარა იყო და ვერც სახურავი დაეხურებოდა. მაღალი იყო და ვერ მოერგო. ავტირდი, ისე ვერ დავმარხავ ჩემს შვილს, დაკრძალვა გადავდოთ-მეთქი. არევიათ სასახლეები და მაჩხაანში წაუღიათ. სამხედროებმა დამამშვიდეს, ახალს დავამზადებთო და საღამოს მოიტანეს. ბევრი ხალხი ესწრებოდა, მთავრობა და სამხედროებიც იყვნენ. მათვე შეარჩიეს ახალი ადგილი სასაფლაოზე და გადაწყდა, რომ სამივე გმირი ერთად დაკრძალულიყო. დაკრძალვასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯი ხელისუფლებამ დაფარა. ხშირად მივდივარ საფლავზე. არ შემიძლია მისი საფლავის დატოვება, თორემ ბევრჯერ დავფიქრებულვარ ამ რაიონიდან წასვლაზე.

1992 წ, დედოფლისწყარო, გმირების დაკრძალვა

მისი დაკარგვის შემდეგ წარმოუდგენელი შოკი მქონდა. ორი კვირის შემდეგ საწყობში შევედი, ბარი და წერაქვი ავიღე, სასაფლაოზე წავედი და უნდა ამომეთხარა ჩემი შვილის საფლავი. მეგონა, რომ ცოცხალი იყო და კიდევ ვნახავდი. ხან სკოლასთან მივდიოდი და დათოს ვეძებდი... ვერ ვიაზრებდი, რა მოხდა და შეგუება მიჭირდა. შემდეგ მეგობრები მიყვებოდნენ ამ ყველაფერს. წარმოუდგენლად ძნელია შვილის დაკარგვა. ნერვიულობის ნიადაგზე ჯანმრთელობა დავკარგე, დიაბეტი დამემართა.

წინა წლებში **გმირების საფლავზე საქართველოს პატარა დროშები და დოქები დავაწებეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცი რა ხელმა გააკეთა, მაგრამ ვანდალური ფაქტი დაფიქსირდა და ისინი მალევე დაიკარგა.**

ჯემალ ღვედაშვილთან ბავშვობიდან მეგობრობდა. ამდენად ახლო მეგობარი სხვა არც ჰყოლია.

9 აპრილის ტრაგედიამდე, როცა რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, თურმე დათო თბილისში წასვლას გეგმავდა. ტექნიკუმში კრებაზე დაგვიბარეს და მშობლებს გამოგვიცხადეს, რომ ბავშვები მიტინგზე წასვლას გეგმავდნენ, იქ კი ვითარება უკონტროლო და სახიფათო იყო, ამიტომ, გვითხრეს, ნუ გაუშვებთ ბავშვებსო. აღმოჩნდა, რომ მშობლებმა არაფერი ვიცოდით. ტექნიკუმში რომ მივედი, ბავშვები ეზოში იყვნენ, დათოს გარშემო გოგონები ჰყავდა შემოხვეული და შენობაში ისე შევედი, ვერ დამინახა. 8 აპრილს სახლში რომ მოვედი, ჩემოდანი გაემზადებინა, ტანსაცმელი ჩაელაგებინა, რათა აქციას შეერთებოდა და პარლამენტთან დარჩენილიყო. მეუბნებოდა: „დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში სადაც სხვები, მეც იქ უნდა დავდგეო“. თოკი ჩამოვაბი და ვუთხარი, როგორც წახვალ, თავს ჩამოვიხრჩობ-მეთქი. სხვა მშობლებიც წინ აღვუდექით და შევაჩერეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ სასტიკი დარბევა მოხდა და ამდენი ახალგაზრდა შეეწირა. მაშინ გადავრჩით, მაგრამ სამ წელში ისევ სამშობლოს სადარაჯოზე წავიდნენ, ამჯერადაც გაგვეპარნენ და თავი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შესწირეს. სამშობლოსთვის გადამკვდარი იყო. ძალიან უყვარდა საქართველო. ერთი ბლოკნოტი ჰქონდა, სადაც ჩაწერა: **„კაცმა ისე უნდა იცხოვროს, თავისი სახელი და კვალი სამუდამოდ დატოვოსო!“**– ასეც მოხდა, წინასწარმეტყველებად ექცა ეს ფრაზა.

ძალიან მხიარული ბიჭი იყო, კარგად მღეროდა, ცეკვავდა. სარკესთან საათობით ტრიალებდა, სისუფთავის მოყვარული იყო. მეთაურიც ამბობდა, ძალიან შემაყვარა თავიო. ყველა ძალიან უყვარდა. არ მეგონა, ასე ადრე თუ დავკარგავდი. ვერც მოვისურვილე კარგად. ძალიან წყნარი ბავშვი იყო, სამსახურიდან რომ მოვიდოდი, სახლს დალაგებულს დამახვედრებდა-ხოლმე. პატარა იყო, მაგრამ ცდილობდა დამხმარებოდა, საქმე პატარა ხელებით გაეკეთებინა. რომ წამოიზარდა, მერეც ძალიან ახლოს ვიყავით,

ჯარიდან რომ დაბრუნდა, უკვე გურჯაანში ვიყავი გადასული, ტაჯიკეთიდან მისი ჩამოსვლიდან ომში წასვლამდე, სამი თვის განმავლობაში თითო დღით თუ ვახერხებდი ნახვას. სამომავლო გეგმებზე როცა ვსაუბრობდით, ისევ საზღვარგარეთ წასვლა უნდოდა. ამბობდა, ტაჯიკეთში გოგო მყავს, მინდა ვნახო და დავქორწინდეო.

მეხუთე კლასამდე კლასის ფანჯარასთან ვიდექი. გაკვეთილზე თუ არ მხედავდა, ისე ვერ ისვენებდა. მასწავლებლებს უკვირდათ, დედა-შვილის ასეთი სიახლოვე და სიყვარული იშვიათიაო. სამსახურში წასვლისას გავეპარებოდი ხოლმე. თუ დამინახავდა, არ გამიშვებდა, ჩემთან ყოფნა უნდოდა. ამიტომ ხშირად რკინიგზაში წამიყვანია და ღამეც ჩემთან დარჩენილა, სულ თან დამყვებოდა.

ეს ომი არ მომხდარა ჩვენსა და აფხაზებს შორის. მე წითელწყაროს რუსული სკოლა დავამთავრე, მრავალეროვან გარემოში ვიზრდებოდი და ვცხოვრობდი, მაგრამ მთელი ცხოვრება ამას ვამბობ, რომ ერებს შორის გარჩევა არ გვქონია. რუსი, თათარი, ბოშა, ქურთი, სომეხი, ყველა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ ვურთიერთობდით და არავისზე გვითქვამს, რომ სხვა ერის წარმომადგენელთან არ ვიმეგობრებდით. ამიტომაც გამიკვირდა და არ ვიჯერებდი, რომ ეს ომი დაიწყო. მაგრამ ეს ხომ ქართველსა და აფხაზს შორის დაწყებული კონფლიქტი არ ყოფილა. ახლაც, უკრაინის ომი რომ გავიხსენოთ... ჩემი ძმა 30 წელზე მეტია, უკრაინაში ცხოვრობს, ოჯახი და შვილები იქ ჰყავს. რუსეთის შეჭრის შემდეგ ბავშვები პოლონეთში გაგზავნა. რაც ომი დაიწყო, სულ ვტირი, მათზე ვნერვიულობ“...

ილია მარტყოფლიშვილი

ლუკაშენკო აფხაზეთში ჩავიდა

„შეხვედრა აფხაზურ მიწაზე“ – რა წერია ლუკაშენკოს ოფიციალურ პრესრელიზში. ბელარუსის ავტორიტარი ლიდერის, ალექსანდრ ლუკაშენკოს ოფიციალურ საიტზე პრესრელიზი ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტის შესახებ, 28 სექტემბერს, გვიან ღამით გამოჩნდა.

პრესრელიზში წერია, რომ ლუკაშენკო „შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე“ იმყოფებოდა.

„ასევე შეხვედრა შედგა აფხაზურ მიწაზე. ბელარუსის სახელმწიფო მეთაურმა ასლან ბჟანიასთან ეკონომიკური პროექტები განიხილა, ბელარუსისა და აფხაზეთის თანამშრომლობის პერსპექტიული საკითხები“, - ნათქვამია განცხადებაში.

პრესრელიზში ასლან ბჟანიას თანამდებობა მითითებული არ არის.

სოციალური ქსელების მომხმარებლების ვარაუდით, ეს იმას მოწმობს, რომ ლუკაშენკო ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ჯერ არ აპირებს.

ვებსაიტზე მოყვანილია ლუკაშენკოს განცხადებებიც იმაზე, რომ „აფხაზეთის პრობლემები“ მან რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმერ პუტინთან განიხილა.

„ჩვენ ამ საკითხზე ბევრი ვიმსჯელეთ, გვიან ღამემდე, ის ძალიან ჩაფლულია, ჩემზე მეტად აფხაზეთის პრობლემებსა და საქმეებში, დიდხანს არ ვილაპარაკებ ამაზე, მაგრამ ჩვენ ერთ დასკვნამდე მივედით: აფხაზეთი არსებობს, მას რუკიდან ვერ წაშლი, ამის გაკეთებას ვერცერთი სანქცია ვერ შეძლებს. როგორც ის ამბობს, აფხაზეთის მიტოვება არ შეიძლება, უნდა დავეხმარო, რომ ეს აყვავებული მხარე და ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობს, ნორმალურად ცხოვრობდეს“, - განაცხადა ლუკაშენკომ.

მანვე დასძინა, რომ „ჩამოვედი არა იმიტომ, რომ რაიმე განსაკუთრებული ვითარებაა“.

„ჩვენ ნორმალური ვითარება გვაქვს, არ გვაწუხებს არანაირი გეოპოლიტიკა. ჩვენ უბრალო, ისევე როგორც თქვენ, მშვიდობიანი, კეთილი, შრომისმოყვარე ხალხი ვართ და გვსურს თანხმობაში ცხოვრება.“

ლუკაშენკოს არაოფიციალური ვიზიტი აფხაზეთში თბილისის თანხმობის გარეშე შედგა. საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადეს, რომ „მტკიცედ გმობენ ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტს ოკუპირებულ აფხაზეთში“.

საქართველოს პირველმა პირებმა მას „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დაუშვებელი დარღვევა“ უწოდეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს ბელარუსის ელჩი, ხოლო საელჩოსთან პარტია „გირჩი-მეტი თავისუფლების“ ორგანიზებით საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელზეც პუტინისა და ლუკაშენკოს პორტრეტები დაწვეს.

უკრაინაში მძიმე ბრძოლებია, რუსეთში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები მობილიზაციის წინააღმდეგ

27 სექტემბერს უკრაინისა და რუსეთის ძალებს შორის მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს აღმოსავლეთ უკრაინასა და ხარკოვის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში.

ამ დროს მოსკოვი აგრძელებს იმ საპროტესტო აქციების ჩახშობას, რომლებიც პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცხადებული ნაწილობრივი მობილიზაციის წინააღმდეგ იმართება.

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ აღმოსავლეთ დონეცკის რეგიონი რჩება უკრაინის - და რუსეთის - მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტად. რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს ბრძოლები მაშინ, როცა რუსული ძალები ცდილობენ წინ წაიწიონ სამხრეთისა და დასავლეთისკენ. 26 სექტემბერს ზელენსკიმ თავის ღამის ვიდეომიმართვაში აღნიშნა, რომ სამხედრო ვითარება დონეცკში „განსაკუთრებით მძიმეა“. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ შევაჩეროთ მტრის აქტივობა. ეს ახლა ჩვენი მთავარი მიზანია, რადგან დონბასი კვლავაც მთავარი მიზანია ოკუპანტებისთვის“, - განაცხადა ზელენსკიმ.

რუსულმა რაკეტებმა დაარტყეს კრივოი-როგის აეროპორტს ცენტრალურ უკრაინაში, გაანადგურეს ინფრასტრუქტურა და აეროპორტი გამოუსადეგარი გახდა, თქვა ტელეგრამზე დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორმა, ვალენტინ რეზნიჩენკომ.

უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხრეთის სარდლობამ 27 სექტემბერს განაცხადა, რომ ხერსონის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთში მისი კონტრშეტევის შედეგად, მოწინააღმდეგის დანაკარგები შეადგენს 77 სამხედრო მოსამსახურეს, 6 ტანკს, 5 ჰაუბიცას, 3 საზენიტო დანადგარს და 14 ჯავშანმანქანას. განცხადების დამოუკიდებლად გადამოწმება ვერ მოხერხდა.

ბრძოლა მძვინვარებდა ხარკოვის რეგიონშიც, ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომელიც ამ თვეში უკრაინის კონტრშეტევის სამიზნე გახდა. გაგრძელდა ოთხი ხიდისა და მდინარეზე სხვა გადასასვლელების მწყობრიდან გამოყვანის მცდელობები, რათა ხელი შეეშალოთ რუსული ძალების მომარაგების არხებს სამხრეთში.

რუსეთში დაახლოებით 300 000 რეზერვისტის მობილიზაციის წინააღმდეგ პროტესტი გრძელდება - ჟენევაში გაერომ 27 სექტემბერს შეშფოთება გამოთქვა საპროტესტო აქციების მონაწილეთა დაკავებების გამო. “ჩვენ ღრმად შეშფოთებული ვართ იმ ადამიანების დიდი რაოდენობით, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციით, დააკავეს,”- განუცხადა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელმა რავინა შამდასანიმ ჟურნალისტებს ჟენევაში.

უცნობ არაოფიციალურ პირებზე დაყრდნობით, “მედუზა” და “ნოვაია გაზეტა”, ორი რუსული საინფორმაციო საიტი, რომლებიც საზღვარგარეთიდან მუშაობენ, იტყობინება, რომ ხელისუფლება აპირებს, ქვეყნიდან გასვლა აუკრძალოს მამაკაცებს. გამოცემები წერდნენ უწყვეტი რიგის შესახებ მეზობელი საქართველოს საზღვართან, სადაც რუსეთის მოქალაქეებს უვიზოდ შესვლის საშუალება აქვთ. ვაშინგტონში თეთრი სახლის პრესმდივანმა, კარინ ჟან-პიერმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები განიხილავს განცხადებებს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ რუსეთის მოქალაქეებისგან, რომლებიც მობილიზაციას გაურბიან.

SpaceX-მა ისტორიაში პირველად კოსმოსში ბიზნესმენებისგან შემდგარი გუნდი გაუშვა

კომპანიამ SpaceX-მა ფლორიდაში მდებარე კანავერალის კონცხიდან კოსმოსში გაუშვა რაკეტა Falcon 9 ხომალდით Crew Dragon, რომელმაც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ისტორიაში პირველი, სრულიად კერძო პირებისგან დაკომპლექტებული ასტრონავტების გუნდი უნდა მიიყვანოს.

გუნდს ხელმძღვანელობს NASA-ს ყოფილი კოსმონავტი მაიკლ ლოპეს-ალეგრია კომპანიიდან Axiom, მასში ასევე არის სამი ბიზნესმენი - ლარი ქონერი Connor Group-დან, Mavrik Corp-ის დამფუძნებელი მარკ პატი და ეიტან სტიბე კომპანიიდან Vital Capital. თითოეულმა ამ ბიზნესმენმა ამ გაფრენაში 55 მლნ დოლარი გადაიხადა.

ასტრონავტები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე უკვე დღეს, 9 აპრილს მივლენ, ხოლო დედამიწაზე 19 აპრილს დაბრუნდებიან.

გაშვება ერთობლივად განახორციელეს NASA-მ და Axiom Space-მა.

ვლადიმერ პუტინმა ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების ე.წ. „დამოუკიდებლობა“ აღიარა

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებებს უკრაინის ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების „დამოუკიდებელ“ ტერიტორიებად აღიარების შესახებ, - ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

„საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, ხალხთა თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებითა და დადასტურებით, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ხერსონის რეგიონის ხალხის მიერ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, რომელიც გაიმართა 2022 წლის 27 სექტემბერს, ვადგენ: აღიარებულ იქნას ხერსონის ოლქის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა“, — ნათქვამია დოკუმენტში.

იგივე შინაარსის განკარგულება გამოქვეყნებულია ზაპოროჟიეს ოლქის „დამოუკიდებლად“ აღიარებასთან დაკავშირებითაც.

შეგახსენებთ, გუშინ ცნობილი გახდა რომ დღეს, კრემლში რუსეთის შემადგენლობაში ოთხი ახალი ტერიტორიის - ე.წ. “დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების”, ასევე ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონების შესვლის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერის ცერემონია გაიმართება. ღონისძიებას ვლადიმერ პუტინი და დეპუტატებიც დაესწრებიან.

„საინტერესო იდეები შეძენილი ცოდნის გადამუშავების შედეგია“

/მეხუთე გვერდიდან/

– დედამიწის დღესთან დაკავშირებულ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავე...

– ეს იყო marketer.ge-ს პოსტერების კონკურსი თემაზე: **„რასაც ვუშავებთ ბუნებას, ვუშავებთ საკუთარ თავს“.** ჟიურის წევრები იყვნენ სხვადასხვა დიზაინ სააგენტოების დამფუძნებლები და დირექტორები. ნამუშევრების შეფასება ქულების მეშვეობით ხდებოდა. ვიცოდი, რომ ჩემზე უფრო გამოცდილი დიზაინერებიც იღებდნენ მონაწილეობას და ვიზუალურად ბევრად დახვეწილ და ლამაზ პოსტერებთან მომიწევდა კონკურენცია. ამიტომ, სხვა ტაქტიკა ავირჩიე. უპირატესობის მოსაპოვებლად გადავწყვიტე პოსტერის იდეაზე მანამ მემუშავა, სანამ არ მივიღებდი შედეგს, რომელიც სრულყოფილად ასახავდა კონკურსის ძირითად თემას. იდეაზე მუშაობას რომ მოვრჩი, პოსტერის შექმნაზე გადავედი. იმ დროისთვის არ მქონდა ბევრი ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ ვეცადე ნამუშევარი მაქსიმალურად ხარისხიანად შემესრულებინა. შედეგების შესახებ გავიგე მარკეტერის სტატიიდან, სადაც ეწერა, რომ: „პირველი ადგილის მფლობელი ნიკა ხუციშვილი გახდა“. როგორც ვვარაუდობდი, მოლოდინი გამართლდა და კონკურენტებს ვიზუალურად ბევრად დახვეწილი ნამუშევრები ჰქონდათ. თუმცა, ჩემი ნამუშევრის მნიშვნელობა იმდენად ზუსტად ასახავდა თემას, რომ როგორც ჩანს, ვერცერთი სხვა პოსტერი ვერ მივიდა მასთან ახლოს და ნამუშევარმა გამარჯვება მოგვაპოვებინა.

– გაუდაბნოება და კლიმატის ცვლილება დედოფლისწყაროსთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, ამ თემაზეც გაქვს შექმნილი საინტერესო ნამუშევარი...

– მიწის დეგრადაციის თემაზე რომ ვქმნიდი პოსტერს, იმ დროს უკვე მეტი ცოდნა მქონდა ვიზუალურად ხარისხიანი ნამუშევრის შესაქმნელად. თუმცა, პირველივე იდეას „გავეკიდე“, რაც თავში მომივიდა. ეს იდეა თვალსაჩინოდ ასახავს პრობლემას და მის გამომწვევ მიზეზებს. მართალია, ვიზუალურად არ გვაჩვენებს, რა შედეგებს მოგვიტანს ამ პრობლემის იგნორირება, როგორ იმოქმედებს ადამიანზე, მაგრამ ადამიანი სხვანაირად აღიქვამს პრობლემას, როდესაც ხეზს უსვამ და თვალსაჩინოდ აჩვენებ, რომ ეს პრობლემა საბოლოოდ მასაც შეეხება. ვფიქრობ, ზუსტად ამ მოსალოდნელი შედეგების გააზრებისას გამოწვეული ემოციების აღძვრა დააკლდა ამ პოსტერს, რის გამოც ვერ დაიკავა მთავარი საპრიზო ადგილი.

გასულ წელს ჩემმა ნამუშევარმა პირველი ადგილი დაიკავა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოცხადებული გრაფიკული ნამუშევრების (პოსტერების) კონკურსში თემაზე - „ვაძლიერებთ ერთმანეთს“. ასევე, მარგარეტ ტეტჩერის ცენტრმა საქართველოში „ატლას ნეტფორქის“ მხარდაჭერით გრაფიკული პოსტერების კონკურსის გამარჯვებულები დაასახელა თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება.“ მეორე ადგილი დავიკავე, რადგან, სავარაუდოდ, მეტი ძალისხმევა ვერ ჩავდე.

– ხშირად ახალგაზრდები საზღვარგარეთ ხედავენ განვითარების გზას. როგორ ფიქრობ, ამ ქვეყანაშიც შეიძლება საათანადო განათლებისა და წარმატების მიღწევა?

– გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ჩვენთანაც ძალიან სწრაფად ვითარდება ისეთი სფეროები, რაც აქამდე არ გვქონია. ვიდრე საზღვარგარეთ წასვლაზე დავფიქრდებით, უპირველესად, ამ ქვეყანაში განვიხილავდი განვითარების პერსპექტივებს, რადგან აქაც შეიძლება იყოს ამისთვის საკმარისი რესურსი. მიმაჩნია, რომ ჩვენთანაც ბევრი თანამედროვე პროფესიის შესწავლაა შესაძლებელი. სამი სხვადასხვა ონლაინ კურსი მაქვს გავლილი ქართულ ორგანიზაციებში. ახლა გავდივარ მეოთხეს, ინგლისურად გვიტარდება, თუმცა ესეც ქართული ორგანიზაციის ინიციატივით. მე არ ვაპირებ საზღვარგარეთ წასვლას. ჩემი პროფესია მაძლევს საშუალებას, ვისწავლო და ვიმუშაო მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.

– რაიონებსა და სოფლებში უფრო რთული ვითარებაა, შიდა მიგრაციაც ყოველწლიურად იზრდება...

– რეგიონს ტოვებენ ძირითადად განათლების მისაღებად, ან დასაქმების მიზნით. თუ იგივე შესაძლებლობები ადგილზე ექნებათ, რაც დიდ ქალაქებშია, სოფელს არ დატოვებენ. განათლებისა და დასაქმების პერსპექტივის შექმნა გამოასწორებდა სიტუაციას. თუმცა, კონკრეტულად რა არის გასაკეთებელი, ამაზე ვერ ვისაუბრებ. მეც რეგიონში ვრჩები, დისტანციურად მუშაობის დროს აქ ვარ ხოლმე. ციფრულ სამყაროში დასაქმება გამარტივებულია და ის, რომ რაიონში ცხოვრობენ ახალგაზრდები, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ამ თვალსაზრისით. პოსტ-პანდემიურ პერიოდში დისტანციურ თანამშრომლობაზეც მეტი დამსაქმებელია თანახმა და ეს ორივე მხარისთვის კარგია. ბევრი სწავლასთან შეთავსებადი პროფესიაცაა, ასე რომ, ადგილსამყოფელი ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

– როგორია შენი თაობა მათივე პლუს-მინუსებით, როგორ დაახასიათებდი მას და რას ეტყოდი ახალგაზრდებს?

– თანამედროვე ტექნოლოგიების გამო ჩვენს წინაშე ახლა ბევრად მეტი პერსპექტივაა. ინტერნეტის დახმარებით ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი, თუმცა, ვფიქრობ, მას ხშირად გასართობად ვიყენებთ. ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ ტექნოლოგიები უფრო ინსტრუმენტად აღიქვან და არა სათამაშოდ. დღეს ახალგაზრდების უმეტესობა გადართულია სწავლა-განათლების მიღებაზე, უნივერსიტეტებში იმატებს მათი რაოდენობა. ჩემი აზრით, ეს ახალგაზრდების დადებითი მხარეა, რადგან ცდილობენ, მეტი ცოდნა შეიძინონ და განვითარდნენ. მინუსად ინფორმაციის სწრაფ მიღებას ვთვლი, რაც ყურადღების კონცენტრაციაში გვიშლის ხელს. წიგნებს ნაკლებად ვკითხულობთ, თუმცა, არა იმიტომ, რომ სწავლა არ გვინდა. უბრალოდ, გაჩნდა ბევრად სწრაფი და ეფექტური გზები იგივე მიზნის მისაღწევად.

– ნიკა, შენი სამომავლო გეგმები?

–სამომავლოდ ვგეგმავ, გავაგრძელო განვითარება ციფრული პროფესიების მიმართულებით, ვეძებო სხვადასხვა ალტერნატიული გზა ჩემი უნარების მონეტიზაციისთვის და გავუზიარო ჩემი ცოდნა სხვებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ერთ თვეში დედოფლისწყაროს გმირთა მემორიალთან არსებული ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროექტირება დასრულდება. როგორც „შირაქს“ დედოფლისწყაროს მერიაში განუცხადეს, ტენდერში გამარჯვების შემდეგ სამუშაოების მწარმოებელ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გაფორმდა, ახლა კი პროექტირება მიმდინარეობს. შემდეგ პარკის განვითარების სამუშაოები დაიწყება. პროექტის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, სამუშაოების დაწყებიდან ერთი წლის ვადაში პარკის კეთილმოწყობა დაასრულოს.

სავარაუდოდ, ზედა გადასახედზე მდებარე რესტორნის მრგვალი შენობა არ დაინგრევა და მისი აღდგენა მოხდება.„პირველად გამოცხადებული ტენდერი ვერ შედგა, განმეორებით კი წარმატებით დასრულდა და არსებობს გამარჯვებული კომპანია, რომელთანაც უკვე გაფორმდა დოკუმენტაცია. დედოფლისწყაროს ექნება თავისი „მზიურის“ პარკი... როგორც თბილისელები ამაყობენ „მზიურით“, ასეთივე არაჩვეულებრივი ადგილი გვექნება ჩვენც და დედოფლისწყაროელებიც იამაყებენ ახალი ცენტრალური პარკით.

მე ამ პროექტში ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების შესაძლებლობებს ვხედავ. ვინც ამ გრანდიოზული პროექტის წინაალმდეგი იყო, მინდა გული დავწყვიტო და ვუთხრა, რომ პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო მათ, ვისაც ეს ახარებს, ვულოცავ ამ სასიამოვნო ამბავს.

დედოფლისწყაროს აქვს ისეთი ტურისტული წერტილები და უნიკალური ბუნების ძეგლები, რომ ამ პარკის დასრულების შემდეგ, მინიმალური ინფრასტრუქტურის მონესრიგებით შესაძლებელი იქნება მაქსიმალური შედეგის დადება და ბევრი ტურისტის მოზიდვა.
ამას გარდა, რამდენიმე თვის წინ „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის“ შექმნა კიდევ დამატებით შესაძლებლობებს გვაძლევს,“ – უთხრა გაზეთ „შირაქს“ ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.10	სამშაბათი 04.10	ოთხშაბათი 05.10	ხუთშაბათი 06.10	პარასკევი 07.10	შაბათი 08.10	კვირა 09.10
დღე	24°	24°	26 °	25°	22°	20°	21 °
ღამე	11 °	13°	13 °	12°	11 °	10 °	9 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.